„ვამტკიცებ“
შპს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორი, ლ. ტვილდიანი

ბრძანება №--- „ “ ---------- წ.

დავით ტვილდიანის
სამედიცინო უნივერსიტეტ

“mediqlabjorjia”-s (**MediClubGeorgia**) saxelobiTi stipendiis daniSvnis wesi

თბილისი

I. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს "მედიქლაბჯორჯია"-ს (**MediClubGeorgia**) მიერ **დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი**ს სტუდენტთათვის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის წესს.
2. "მედიქლაბჯორჯია"-ს სტიპენდიაზე პრეტენდენტობის უფლება აქვთ მაღალი კურსების (4-6 კურსის) სტუდენტებს, რომელთაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობით.
3. სახელობითი სტიპენდია – ფულადი ჯილდოა, რომელიც გაიცემა "მედიქლაბჯორჯია"-ს ბიუჯეტის სახსრებიდან დ.ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.
4. სტიპენდიანტებს გადაეცემათ სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის სერტიფიკატი.

II. სტიპენდიის დანიშვნის და გაცემის წესი

1. 'მედიქლაბჯორჯია"-ს სახელობითი სტიპენდია ინიშნება "მედიქლაბჯორჯია"-სა და დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ერთობლივი საკონკურსო კომისიის (დანართი 1) გადაწყვეტილების საფუძველზე.
2. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება "მედიქლაბჯორჯია"-სი და დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით.
3. "მედქლაბჯორჯია"-ს სტიპენდიანტი აირჩევა კონკურსის წესით ერთი აკადემიური წლის ვადით.
4. სახელობითი სტიპენდია გაიცემა ყოველთვიურად დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ.
5. არდადაგების პერიოდში სტიპენდია გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სტიპენდიანტი მონაწილეობს ამ პერიოდში "მედიქლაბჯორჯია"-ს ან დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის რომელიმე პროექტში და ეს მონაწილეობა დოკუმენტურად დადასტურებულია.

III. საკონკურსო შერჩევის პროცედურა და ვადები

1. საკონკურსო შერჩევა წარმოებს 4 ეტაპად.
   1.1. **პირველი ეტაპი** – საინფორმაციო:
   გულისხმობს კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას ყოველი წლის **1 ივლისიდან - 15 სექტემბრამდე**.
   1.2. **მეორე ეტაპი** – ორგანიზაციული:
   გულისხმობს სახელობითი სტიპენდიის კანდიდატებისგან დოკუმენტაციის მიღებას. დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც მოეთხოვებათ სახელობითი სტიპენდიის კანდიდატებს, წარმოდგენილია არსებული წესის IV თავში. დოკუმენტების მიღების ვადაა ყოველი წლის **15-25 სექტემბერი**.
   1.3. **მესამე ეტაპი** – კონკურსი:
   1.3.1. გულისხმობს კანდიდატების მონაცემთა განხილვის პროცედურას "მედიქლაბჯორჯია"-სა და "აიეტი"-ს ერთობლივ სხდომაზე და გადაწყვეტილების მიღებას.

1.3.2. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ინდივიდუალურად ყოველ კანდიდატზე კენჭისყრის საფუძველზე. სტუდენტების შესაფასებლად ძირითადი კრიტერიუმების სახელმძღვანელო, რომლის მეშვეობითაც ვლინდება კონკურსში გამარჯვებული, წარმოდგენილია არსებული წესის VI თავში.

1.3.3. კომისია განიხილავს სახელობითი სტიპენდიანტის კანდიდატურებს წელიწადში ერთხელ, ყოველი წლის **1 ოქტომბრამდე**.

1.4. მეოთხე ეტაპი – დასკვნითი:

გულისხმობს სახელობითი სტიპენდიის სერტიფიკატის გადაცემას "მედიქლაბჯორჯია"-ს გენერალური დირექტორის და დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მიერ საზეიმო ვითარებაში.

IV. დოკუმენტები, რომელიც უნდა იყოს წარმოდგენილი სახელობითი სტიპენდიისთვის

1. დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს კონკურსანტების მიერ:
   - 1.1. კანდიდატის აკადემიური მოსწრების სრული ამონაწერი და საგამოცდო სესიების შედეგებით.
   - 1.2. სტუდენტის რეიტინგის ჯამური მაჩვენებელი (CGPA – Cumulative Grade Point Average).
   - 1.3. დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მნიშვნელოვან მიღწევებს სასწავლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.
   - 1.4. სტუდენტთა თვითმართველობის საბჭოს წარდგინება.
   - 1.5. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წევრობის ცნობა.
2. აუცილებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები.

V. სახელობითი სტიპენდიანტების რაოდენობა და სტიპენდიის ოდენობა

1. სახელობითი სტიპენდია გაიცემა ერთ სტუდენტზე.
2. სახელობითი სტიპენდიის ბიუჯეტი განისაზღვრება დარიცხული 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით თვეში.

VI. შერჩევის კრიტერიუმები და სტუდენტთა კატეგორიები

1. შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები:
   - 1.1. „საუკეთესო" და „კარგი" შეფასებების მაქსიმალური რაოდენობა სემესტრების საბოლოო და საგამოცდო გმოცდების შედეგების მიხედვით.
   - 1.2. საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში მაღალი მიღწევები, დოკუმენტურად დადასტურებული.
   - 1.3. სხვადასხვა სტუდენტურ ორგანიზაციებში, ასოციაციებში, სოციალურად მნიშვნელოვან ღონისძიებებში მონაწილეობა,
   - 1.4. "მედიქლაბჯორჯია"-ს ღონისძიებებში/პროექტებში მონაწილეობა.
   - 1.5. დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა.

1.6. სამეცნიერო შრომების რაოდენობა, პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა.

2. სტუდენტთა კატეგორია, რომელთაც აქვთ სახელობით სტიპენდიაზე პრეტენდენტობის უფლება:

2.1. მაღალი კურსის სტუდენტები (4, 5, 6 კურსი);

2.2. მაღალი აკადემური მოსწრება (CGPA 75 და მეტი მინიმუმ ბოლო ოთხი სემესტრის განმავლობაში).

2.3. გააჩნიათ განსაკუთრებული მიღწევები საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

დანართი 1

"მედიქლაბჯორჯია"-ს სახელობითი სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია

“მედიქლაბჯორჯია”-სი და უმაღლესი სამედიცინო სკოლა “აიეტი”-ს ერთობლივი კომოსისიის შემადგენლობა:

1. “მედიცლაბჯორჯია”-ს გენერალური დირექტორი
2. “მედიცლაბჯორჯია”-ს წარმომადგენელი
3. “მედიცლაბჯორჯია”-ს წარმომადგენელი
4. დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერი
5. დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი სასწავლო დარგში
6. უმაღლესი სამედიცინო სკოლა “აიეტი”-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
7. დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის დეკანი
8. დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმართველობის წარმომადგენელი
9. დ. ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენელი

საკონკურსო ვადები

1 ivlisidan - 15 seqtemberi – კონკურსის გამოცხადება

16 - 25 seqtemberi – კონკურსში მონაწილე სტუდენტების საბუთების მიღება

26 - 30 seqtemberi – სახელობითი სტეპენდიის დანიშვნის გადაწყვეტილების მიღება

1 oqtomberi - სახელობითი სტიპენდიის გადაწღვეტილედის გამოცხადება